

ჩეხოსლოვაკია — ევროპის ქვეყნები

ქართველ ცხენოსანთა უფროსი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია საერთაშორისო კლასის მხედარი კონსტანტინე ყოჩიაშვილი. ჩუმლაცელი ყმაწვილი ცხენოსანობის დიდმა სიყვარულმა მიიყვანა თბილისის ყოფილ დიდუბის იპოდრომზე, რომელიც თვითმყოფადი ქართული მუცხენეობის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენდა იმ ხანად. აქ იმართებოდა დოლი, ისინდი, ყაბახი, ცხენბურთი, მარულა თუ სხვა ინდივიდუალობითა და ცხოველმყოფელობით გამორჩეული ასპარეზობა.

კოტეს მშობლიურ სოფელში კარგად იცოდნენ ცხენის ყადრი. ჩუმლაცელები თავის დროზე საუკეთესო ადგილობრივი ჯიშის ცხენების მოყვებით იყვნენ განთქმულნი. ამიტომ იქ აღზარდილ მხედარს არ გასჭირვებია ალექსანდრე ხაინდრავას, გრიგოლ ქიქავას, ისიდორე ჩიკვილაძის, აკაკი სურმაგას, ანდრეი ბარლევსკისა და სხვათა ლირსეული მეტოქე რომ გამხდარიყო.

1937 წლის 18 ივლისს რიგით მესამე დოლი გამარჯვებისათვის დაწესებული 150-მანეთიანი პრიზი კილომეტრნახევრიან რბოლაში, ცხენ „მაგარიტა“, კოტეს მოუგია.

1940 წლის 8 ნოემბერს იქვე, დიდუბის იპოდრომზე, ჩატარებულა დიდი საცხენოსნო ზეიმი, დოლის ცხენთა რესპუბლიკურ გამორჩენა-შეჯიბრებაში ყულარისა და მუხროვანის ცხენსაშენებთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ მხედრებს. აღლუმის შემდეგ ჩატარებულა დოლი წმინდა სისხლის ცხენებს შორის, გათამაშებულა საქართველოს დიდი პრიზი — 2400 მეტრიანი დერბი. 6 მონაწილე მხედარს შორის პრიზი, ცხენ „პირქუშით“, კონსტანტინე ყოჩიაშვილს დაუმსახურებია.

1941 წელს კოტე ყოჩიაშვილი ცხენ „დავლურით“ და „უშხიათ“ წარმატებით ასპარეზობდა და იმარჯვებდა სხვადასხვა შეჯიბრებაში. კოტე მუშაობდა მუხროვანის ცხენსაშენში, რომელიც 1950 წელს გაუქმდა. იგი მიიწვია „ვოსხოლის“ ცხენსაშენის ცნობილმა მწვრთნელმა ივანე ფომინმა.

1952 წელს დიდ საკავშირო დერბოში ლევის იპოდრომზე 9 ბედური ჩაება. კოტემ „ბენგრემით“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

1953 წელს ქართველმა მხედარმა „არაგვით“ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში 1200 მეტრ მანძილზე მოიგო ერთ-ერთი საპატრიო ჯილდო — „მშვიდობის პრიზი“, ხოლო 1954 წელს მეორედ

გახდა დიდი საკავშირო დერბის პრიზის მფლობელი. კონსტანტინე ყოჩიაშვილის მხედრული ისტატობა ერთხელ კიდევ ვიხილეთ 1959 წელს დელისის იპოდრომზე (ახალი იპოდრომის გახსნის დღეს), სადაც „პალიასტომით“ პირველი ადგილი დაიკავა. შემდეგ იგი მიაღწინეს ლონდონში, როგორც სპეციალისტი და მწვრთნელი, იყო თურქეთში, პოლონეთში, ორჯერ — ფინეთსა და ეგვიპტეში...

სურათში: კ. ყოჩიაშვილი ტრასაზე.
თამაზ ქიქავას ტექსტი და ფოტო



უფრო გუარად რომ მოვიკიდოთ უახი გატუტვა

4 შანი შიპრისა, შანი განსჯისა

როცა 1988 წლის საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველოს ბატუტისტთა ნაკრებმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა და თავისი ძირითადი კონკურენტი — უკრაინის გუნდი, მთელი 67 ქულით ჩამოიტოვა, სპორტის ამ სახეობის ზოგიერთმა სპეციალისტმა „ივარაუდა“, რომ საქართველოს ბატუტეზე ტომის სკოლა ამ თითქმის ამოწურა თავისი რეზერვი და მორიგ წარმატებას ჩვენი ბატუტისტები წლობით უნდა დალოდებოდნენ... „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა“... ეს მაშასადამე ანდაზა ამ შემთხვევაში ჩვენდა სასარგებლოდ გამართლდა.

მოსწავლეთა საკავშირო სპორტკლასის პროგრამაში ბატუტეზე ხტომა პირველად შეიტანეს. ტურნირი თბილისში გაიმართა, რაც, ერთი შეხედვით, ზედმეტ უპირატესობას აძლევდა ჩვენი ნაკრების წარმომადგენლებს, მაგრამ „საკუთარი კედლები“ ფაქტობრივად თავიდანვე გამოიჩინა — ტურნირს მხოლოდ ქართველ სპორტსმენთა ნათესავები, ახლობლები და საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები თუ ესწრებოდნენ, „მართვეს“ სპორტდარბაზი სანახევროდ ცარიელი იყო. ასე რომ, გამარჯვება დაიმსახურებულა, ყოველგვარ „დამატებით საშუალებათა“ მოშველიების გარეშე მოიპოვეს ჩვენმა სპორტსმენებმა.

ერთი სიტყვით, ვერაფერ დაძვირებულა. თვითგონებით არ გამართლდა. თუმცა ის გვინდა, არც არასოდეს გამართლდეს. ამისათვის კი, სწავრობა, მუშაობის მთელი სიმძიმე ვადავიტანოთ მონარდების მოშალდებზე. ამ შხრივ მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა. ფაქტობრივად, საქართველოში მხოლოდ ორ ქალაქშია ბატუტეზე ხტომა დანერგული — თბილისში და ქუთაისში. სპორტკლასის ჩემპიონებშიც ამ ქალაქებიდან არიან — 7 სპორტს-

მენი თბილისელია, მხოლოდ ერთი — ლილა გიგინეიშვილია ქუთაისელი. მართალია, ბათუმელი კახაბერ გობრონიძეც იყო ნაკრების კანდიდატი (მან ტურნირის წინ შიმში ტრავმა მიიღო და გამოაკლდა თანაგუნდლებს. იგი ღირსეულად შეცვალა კახაბერ ქვლივიძემ), მაგრამ, ისეთ დიდ ქალაქებს, როგორც ბათუმი და ქუთაისი, არ ეკადრება მხოლოდ თითო ბატუტისტი გაუზარდონ ნაკრებ გუნდს. არადა, თუ ისტორიას გადავხედავთ, პირველი ბატუტისტი საქართველოდან, რომელიც სპორტის ოსტატი გახდა, სოხუმელი იყო. დიახ, სოხუმშიც საკმაოდ ძლიერი კერა არსებობდა ბატუტეზე ხტომისა. სამწუხაროდ, ამ სასიამოვნო ტრადიციამ დღემდე ვერ მოაღწია. თუმცა სოხუმის იმედი უკანასკნელ დრომდე მაინც ჰქონდათ სპეციალისტებს — 1989 წლის სექტემბერში ტანვარჯიშის უმაღლესი დოსტატების რესპუბლიკურმა სკოლამ (დირექტორი მზია ჯულელი) აქ გახსნა ბატუტეზე ხტომის გუნდი, მაგრამ ერთი წელიც არ იარსებდა იგი დახურულა. მიზეზი სწრაფი ჩვეულებრივია — სკოლაში არ გამართლდა დანიშნულად მანუ ხელმძღვანელებმა მწვრთნელი მიიღეს ის, რასაც ელოდნენ. ბათუმს აქვს ნაკლებად მწველი ტრადიციები, მაგრამ დღესდღეობით ამ ქალაქშიც დათმო პოზიციები.

ზაურ სულაშვილი, ევრიბიდ გალჩევი, თენგიზ ხუდოევი (სამივე — თბილისი) და ვალერი ჩხაბერიძე (ქუთაისი) — აი, მწვრთნელთა ის მცირერიცხოვანი კონტინგენტი, რომელთა ზურგზეც ვადაიარა სპორტკლასის მთელმა სიმძიმემ. მათმა აღსაზრდელებმა მოუპოვეს გამარჯვება ჩვენს ნაკრებს. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ე. ვალჩევი აშხალდა სპორტსმენებს სპორტკლასისათვის, რადგან... ხუდოევი-

და ზ. სულაშვილი მიიწვიეს საკავშირო ნაკრების შეკრებაზე, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. სპეციალისტებს დიდი იმედი აქვთ ახალგაზრდა მწვრთნელის — ეგორ ჩერნაუსკისა, რომელმაც გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ ბატუტეზე მტომელთა გუნდთან. ალბათ, მალე მისი აღსაზრდელები მოსინჯავენ „დიდ ბატუტს“, მაგრამ, ეს ვერაფერი შედეგათა მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში გახსნილია ბატუტეზე ხტომის სპეციალიზებული სკოლები. ფიჭუულტურის ინსტიტუტებში ყოველწლიურად რამდენიმე ათეულ მწვრთნელს ამზადებენ, ჩვენში კი, როგორც სპეციალისტებმა გვითხრეს, დღესდღეობით ეს ვერ მოხერხდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიჭუულტურის ინსტიტუტში ბატუტეზე ხტომის სპეციალიზაცია შემოიღონ — ბატუტისტები, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში აკრობატებთან ერთად გადიან სპეციალიზაციის კურსს.

აქვე ორიოდ სიტყვით აღვნიშნავთ სპორტული, ბაზების თაობაზეც. თბილისში, საიდანაც ძირითად შემსებას იღებენ საქართველოს ბატუტეზე მტომელთა ნაკრები გუნდები, ორად-ორი დარბაზია, ნორმალურად რომ ვარჯიშობენ სპორტსმენები. სპორტსაზოგადოება „მართვეს“ და ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დოსტატები — სკოლის დარბაზები, ვეიქოლბო, სკამარისი არაა, რადგან მთავრდება ქართველ ბატუტისტთა მიღწევებზე, მათი ასევე მზარდი წარმატებების საფუძველზე, დღითი დღე იზრდება. „მართვეს“ დარბაზში არ არის გათბობა და ზამთარში ჭირს სრულყოფილი ვარჯიში (სხვა მხრივ, იგი ნამდვილად აკმაყოფილებს თანამედროვე სპორტული არბისათვის წაყენებულ მოთხოვნებს).

სპორტორბი — სოფალ ათი გუნდი შეიქმნებულა

სოფალ მეორე ნოსირში (სენაკის რაიონი) კარგა ხანია ასეთი გამოცოცხლება არ ყოფილა. სამი კვირის განმავლობაში დიდი თუ პატარა საამაობით მდინარე ტეხურის ნაპირზე მდებარე ფეხბურთის მოედნისაკენ მიიქარადა, რათა სოფლის პირველობისთვის მეტობოლი თავიანთი გუნდისთვის ექმნათ. ეს შეჯიბრება კულტურის სახლთან (დირექტორი დ. ჩილჩავა) ჩამოყალიბებულ ფიჭუულტურის საბჭოს (თავმჯდომარე დ. ბარკალაია) ინიციატივით მოეწყო. შეჯიბრებას სპონსორობა გაუწიეს სენაკის №2 სამშენებლო ტრესტის საავტომობილო გზების მშენებლობის ავტოსაწარმოო გაერთიანებამ (დირექტორი გ. ვადელია) და ნოსირის მეფინანსელების რეპროდუქტორმა (დირექტორი დ. ბარკალაია). კულტურის სახლის გვერდით კეთილმოეწყო ფრენბურთისა და მინიფეხბურთის მოედნები, ხოლო მდინარე ტეხურის სანაპიროზე — ფეხბურთის მოედანი. სწორედ ამ სარბილზე ჩატარდა ბოლო ოცი წლის მანძილზე პირველად სოფლის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც სოფლის ათმა გუნდმა მოიყარა თავი. ქვეყნულელებში წრიულად ჩატარებული შეხვედრების შემდეგ ფინალში საკუბავიოს უბნის გუნ-

დი — „შეგარდენი“ და მეფინანსელების რეპროდუქტორის საფეხბურთო კოლექტივი — „სენაკი“ შეხვედნენ ერთმანეთს. მინიმალური უპირატესობით (1:0) გამარჯვება შევარდნელებმა, რომლებმაც გარდამავალი თასი და 300 მანეთი ფულადი პრემია დაიმსახურეს. მეორე პრიზიორს — „სენაკს“ — 200 მანეთი ფულადი პრემია გადაეცა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში საბარკალაიოს უბნის „ტეხურამ“ იმარჯვა და 100 მანეთი ფულადი პრემია მიიღო. პრიზები და ფულადი პრემიები გადაეცათ აგრეთვე ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა სოფლის ნაკრები, რომელიც რეგულარულად ივარჯიშებს და ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს როგორც ახლო-მახლო სოფლების ფეხბურთელებთან, ასევე საქართველოს ეროვნული პირველობის ზონალურ ქვეყნულეში მოასპარეზე მეზობელი რაიონების გუნდებთან.

ამჟამად სოფლის პირველობისათვის ფრენბურთელები, მოჭადრაკეები, მოშაშეები, მაგდის ჩოგბურთელები და მონარდები ემზადებიან.

ვახა დანელია


მოკლულ

მასობრივად გამოირჩეოდა საჩხერის რაიონის პირველობა ფეხბურთში. 18 გუნდს წინა წლებში არასოდეს მიუღია მონაწილეობა მსგავს შეჯიბრებაში. ასპარეზობა ოლიმპიური სასტუმრო ჩატარდა, ორთვიანი საფეხბურთო მართონის

შემდეგ ფინალში ერთმანეთს პირისპირ რაიკავშირის (რომელიც რაიონული პირველობის ტრადიციული ფინალისტი) და ბამბეულის კომბინატის გუნდები წარდგნენ. ძირითადად და დამატებითა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, თერთმეტმეტრიანების სერია კი უკეთ ბამბეულის კომბინატის ფეხბურთელებმა შეასრულეს და მოიპოვეს საპატრიო პრიზი.

სა და ძალისხმევას მოითხოვს. ეს ყოველივე მართლაც არ დაიშურებს რესპუბლიკის სპორტსახელმძღვანელებმა, რომლის წევრებიც არიან სპორტკლასის ჩემპიონები; სახალხო განათლების სამინისტროს ფიჭუულტურისა და სპორტის განყოფილებამ და ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დოსტატების სკოლის ხელმძღვანელობამ (სწორედ ამ სკოლის მსმენელები არიან ჩემპიონები). ასე რომ, ზემოჩამოთვლილი პრობლემების მოგვარების შემთხვევაში, ახალ გამარჯვებებსაც არაფერი დაუღვრება წინ. მით უმეტეს, რომ, ათეულით მოუგვარებელი პრობლემის მიუხედავად, ჩვენმა ბატუტისტებმა უამრავ წამარტებას მიადრწიეს ევროპისა და მსოფლიო სარბილზე და უკან ჩამოიტოვეს მსოფლიო საბატუტო სკოლის აღიარებული ლიდერები — ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი და შოტლანდიელი სპორტსმენები. პრობლემები რომ აღარ გვიქნება და გამარჯვებები უფრო იმარჯვებს, ამას მარჩიელობა სჭირდება?

ლევან ჯაპანიშვილი





საქართველოს
პროფესიონალი
თავის

„ბათუმი“ (ბათუმი) — „მარ-
ცხალი“ (ოზურგეთი) 0:0

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი.
19 სექტემბერი.

„ბათუმი“: მამინაშვილი, გოგი-
ტიძე, მუხომედიანი, დურდუაძე,
კვიციანი, შვილაძე (კულუბე-
კოვი), შ. მახარაძე, მაჭუტაძე, შანი-
ძე, ტულუში, ი. მახარაძე.

„მარცხალი“: დუმბაძე, ხაჩაშვი-
ლი

„კოლხეთი-1913“ (ფოთი)
— „იბერია“ (თბილისი) 5:4 (2:2).

ფოთი. „ფაჩისის“ სტადიონი. 19
სექტემბერი.

„კოლხეთი-1913“: მიქაძე (გვა-
ხალია), ჭაჭავაძე, გორგაძე, ბაჭვალა-
ძე, გიგაძე, შამთაძე, თოფურია,
დ. მახარაძე, ჭყონია, თვარაძე, ავ-
რამიძისი.

„იბერია“: ხაბოვი, არჩაიანი, ცხა-
დაძე, ჭვიაძე, ჯიშკარიანი (ჯამ-
ბურაძე), რევიშვილი, ჭვიაძე (კე-
რეძე), ნემსაძე, კაკაბაძე, ყაფე-
ლაშვილი, გოგინაშვილი (შონია).

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ა. ში-
ლაკაძე (ორივე — თბილისი), ა.
თეთრაძე (მცხეთა).

შეხვედრის დასაწყისში მასპინძე-
მალაღურაძე ტემპს „იბერიამ“ ძი-
რითად კონტროლირებდა დაუპირ-
ისპირა. ფოთელთა შეტევებს მოპყ-
ვა მახარაძისა და ავრამიძისის
ძლიერი დარტყმები, მაგრამ კარ-
ვალ ითამაშა ხაბოვი. მე-10 წუ-

რამე, ათუაშვილი, ცერცვაძე, კა-
ლაღურიშვილი, შვილაძე, ბარამი-
ძე, კაშია, კალანდანი, ჩხაიძე, ჩი-
გოვიძე.

მსაჯები: ე. ხილაგავა, თ. ლო-
რთქიფანიძე, ზ. ლაცაბიძე (სამივე
— თბილისი).

ამ გუნდების პირველი მატჩი
ოზურგეთში ფრედ დამთავრდა, ამი-
ტომ მთლიანად იყო, რომ ბრძოლა
ბათუმში მწვერულს და უკო-
მპრობისო აქნებოდა, მაგრამ ასე არ
მოხდა. მთელი ორი ტაიმის მანძილზე
ბათუმელთა ტერიტორიული უპირა-
ტესობა აშკარა იყო, თუმცა სა-
ხიფათო მომენტის შექმნა მეტო-
ქის კართან მათ ვერ მოახერხეს;
ოზურგეთელები კი იშვიათი კო-
ნტრშეტევებით პასუხობდნენ (და-
ერთი დასამახსოვრებელი მომენტი
მინიმუმ შეიქმნა ბათუმელთა საჯა-
რიმოში — 52-ე წუთზე დიდბუ-

თზე ჯიშკარიანის ზუსტი პასის შე-
დეგ ჭეცხიამ შორი მანძილიდან
ულამაზესი გოლი გაიტანა. ეს ისე-
თი შესანიშნავი გოლი იყო, რომელ-
საც არც ერთი გამორჩეული ფეხ-
ბურთელი არ იტყვოდა უარს. 28-ე
წუთზე უკვე თავად ჯიშკარიანმა გა-
ზარდა ანგარიში — 2:0. ორივე
წუთიც არ იყო გასული, რომ თო-
ფურიამ ძლიერად დაარტყა მეტო-
ქის კარში, მეკარე დაეუფლა
ბურთს, მაგრამ ბაჭვალაძემ მაინც
მოახერხა მისი კარისკენ გაგზავნა —
2:1. ათი წუთის შემდეგ თავი გა-
მოიჩინა მასპინძელთა გუნდის ლი-
დერმა დავით მახარაძემ — 2:2. ტაი-
მის მიწურულს კი ნემსაძემ დაიწი-
ნაურა თავისი გოლი — 3:2.

მეორე ნახევარი უფრო საინტე-
რესოდ წარიმართა, 51-ე წუთზე
ჭერი ავრამიძისმა აიღო ფრანგის
წინააღმდეგობა, შემდეგ თვარაძემ დააწი-
ნაურა „კოლხეთი-1913“, მაგრამ
87-ე წუთზე კაკაბაძემ გაათანაბრა
ანგარიში სხვაობა — 4:4.

ფოთელთა მორიგი იერიშის დროს
საჯარიმო მოედანზე თბილისელებ-
მა დაარღვიეს წესი და დაინიშნა

ლალ ითამაშა ჩხაიძემ, მოატყუე-
რამდენიმე მცველი და საჯარიმოში
მოედნის ხაზიდან ძლიერად დაა-
რტყა. ბურთი ძელს მოხვდა, შემ-
დეგ კი ბათუმელმა მცველებმა იმა-
რჯვე და განმუხტეს სახიფათო
მდგომარეობა. ბათუმელთაგან გან-
საკუთრებით აქტიუობდნენ მაჭუ-
ტაძე და კვიციანი. ამ უკანას-
კნელმა თამაშის მეორე ნახევარში
რამდენიმე სახიფათო რეიდი და-
დარტყმა განახორციელა, მაგრამ
ყველა ამ შემთხვევაში ბურთი ოდ-
ნავ ასცდა მიზანს. 70-ე წუთზე
მაჭუტაძის ახლო მანძილიდან თა-
ვური დარტყმა ბრწყინვალე მო-
იგერია მეკარე დუმბაძემ. ეს იყო
და ეს ამის მეტი მატჩში საინტე-
რესო არაფერი მომხდარა. ორი შე-
ხვედრის ანგარიში ბათუმელები
ნახევარფინალში გავიდნენ.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს“ ხაჯ. კორ.

ბენალტი, რომელიც ზუსტად გამო-
იყენა თვარაძემ — 5:4 გამარჯვა
„კოლხეთი-1913“-მა, მაგრამ ორი
შეხვედრის ჯამში ნახევარფინალ-
ში თამაშის უფლება „იბერიამ“
მოიპოვა, რომელმაც ორი კვირის
წინ დაამარცხა ფოთელი ფეხბურთე-
ლები — 3:0.

ბრისტან მანია,
„ლელოს“ ხაჯ. კორ.

სოსხუმში ადგილობრივმა „ცხუმ-
მა“ განმარტებით მეოთხედფინალ-
ურ მატჩში რუსთავის „გორდას“
უმასპინძალა და გამარჯვა — 1:0.
პირველი შეხვედრა რუსთავში, რო-
გორც გასსოვთ, „გორდას“ გამარჯ-
ვებით — 2:1 დამთავრდა. სტუმრად
გატანილმა ამ ერთადერთმა ბურთ-
მა გამარჯვება და ნახევარფინალ-
ის საჯარო „ცხუმის“ ფეხბურ-
თელებს მოუტანა. მატჩი
„ქუთაისი“ — „გურია“ მოგვიანებით
გამიმართება.

ქუთაისის შედეგად ნახევარ-
ფინალურში შეხვედრის: „ცხუმი“ —
ბათუმი, „ქუთაისი“ — „გურისი“
შორის გამარჯვებული — თბილისის
„იბერია“.

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი-
1913“ (ფოთი), „ამირანი“ (თხამ-
ჩირე) — „გორდა“ (რუსთავი), „კო-
ლხეთი“ (ხოზი) — „მზიური“ (ვა-
ლი), „მერცხალი“ (ოზურგეთი) —
„გურია“ (ლანჩხუთი), „ლიახვი“
(ცხინვალი) — „დილა“ (გორი), „შე-
ვარდენი-1906“ (თბილისი) — „ივე-
რია“ (ხაშური), „სამგურალი“ (წყა-
ლტბო) — „სანავარდო“ (სამტ-
რედია).

ფციებსა და შეხედულებებს ცხო-
ვრებაზე, სპორტზე.
ამასთან ერთად, მასალებში უა-
მრავო კითხვა დასმული იმასთან
დაკავშირებით, თუ რატომ დაყ-
ბულდა მენტო ურუგვას იმ კლუბ-
ების მწვრთნელობას, რომელსაც ამ-
ჟამად ნამდვილად არ შეუძლია იმ-
დენის ვადახა, რამდენსაც ნებო-
სმიერ დროს მიიღებდა, თუკი რო-
მელიმ სხვა სახელგანთქმული
კლუბის წინადადებას დათანხმდებ-
ოდა.

თვით მენტომ კი მონტევიდეოში
ჩასვლის შემდეგ განაცხადა: ყვე-
ლაფერი ფულით არ იზომება, არ-
სებობს სხვა ფაქტორები, რომელ-
შიც მწვრთნელების მიერ მიღე-
ბულ ვადამწვრთნელებს განსაზ-
რავინ. ამ შემთხვევაში არცთუ
უმნიშვნელო როლს თამაშობს კლუ-
ბის დახმარების სურვილი, პირა-
დი დამოკიდებულება და სიმპათი-
ები; ცხადია, ცხოვრების პირობე-
ბიც და ადგილიც.

მართალია, მენტო: ჯერ არ შეს-
დგომია თავისი მოვალეობის შეს-
რულებას, კლუბის ხელმძღვანელო-
ბა კი უკვე იმის პირველ მოსავალს.
ეროვნულ ჩემპიონატში „ბენი-
აროლის“ მორიგი თამაშის სახან-
ვად, წინა ტურისაგან განსხვავებით,
სტადიონზე ორჯერ მეტი მაყურე-
ბელი მივიდა.

მაიაშადა ბელა ჯილაურმა.

წინ გადაინაცვლა, ლიდერს როლ-
ში კი იმყოფება „მარსელი“, რომელ-
მაც სტუმრად დაიმარცხა „ტულ-
უზა“ — 2:0.

„ლინკოლინი“. ინგლისის ჩემ-
პიონატში ზედზედ შეხუთე გამარ-
ჯვება მოიპოვა „ლინკოლინი“,
რომელმაც დიდი ანგარიშით მოუ-
გო „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 4:0.

პროკონს საფეხბურთო ლეა

განვილოთ თქვენმათს გაიმართა
ფეხბურთში ევროპის საკლუბო
ტურნირების 1990-91 წლების გა-
თამაშებათა პირველი წრის შე-
ხვედრები.

ჩემპიონთა თასი. მოსკოვის
„სპარტაკის“ მეტოქე მეტოქესმეტე-
ფინალში იყო პრადის სპა-
რტა“. თამაში პრადში შედგა და
დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვე-
ბით — 2:0. (გოლები: შალიმოვი,
შმაროვი). ამ გამარჯვებით მოსკო-
ვის „სპარტაკს“ მერვედფინალში
გასვლის შანსი გაუჩნდა.

აღსანიშნავია, რომ მატჩზე დასა-
სწრებად პრადში ჩავიდა მოს-
კოვის „სპარტაკის“ 150 გულშემა-
ტყვიანი. მათ სტუმართმოყვრულ-
ად დაეძინენ, ჭალაის ლისშე-
სანიშნავობებით დათვალეობინ-
ეს, ტრიბუნაზეც ცალკე ადგილე-
ბი გამოუყვეს, მაგრამ „სპარტაკის“
ქომაგება ეს პატივისცემა ვერ
შეიშოვეს, ისინი აშკარად გამო-
წვევად ხულოვნურად იქცეოდნენ,
საქმე პოლიციის ჩარევამდეც კი
მიღგა...

თასების ფეხბურთო თა-
სი. კიევის დინამოელთა მეტოქე
ფინეთის „კუოპიო“ პოლონურა-
იყო. თამაში „კუოპიოს“ მინდორზე
მიმდინარეობდა. იგი ფრედ დამთა-
ვრდა — 2:2. კიეველთაგან ბურთები
გაიტანეს სალენკომ და იურანმა.
ასეთი შედეგი ევროპის საკლუბო

ტურნირების შეხვედრაში დამსკუ-
ყოფილებლად ითვლებოდა, მაგრამ ან-
გარიში 2:2 კიევულთათვის დიდ მო-
ღწევად არ უნდა მივიჩნიოთ.

შეშას თასი. გათამაშების თე-
დამთავრებულ შემდეგ პრადში
ევი არა აქვთ ოდესს „ჩერნომორ-
ეცსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“
ოდესლმა ფეხბურთელებმა თავი-
ანთ მინდორზე ანგარიში 3:1 დასა-
მარტეს ნორვეგიის „რუსენბორგი“
(ბურთები გაიტანეს ციხალი-
შემა, გეცევი და კონდრატ-
იევი); ხოლო ტორპედოელებმა
ასევე შინ მოუგეს შვე-
ციის გაისს (გეტებორგი) — 4:1.

ბურთები გაიტანეს გეცელოვა, ტი-
შეგვა (2) და გრინმა. „ჩერ-
ნომორეცსა“ და „ტორპედოსა“
გათამაშების შემდგომ ეტაპზე გა-
სვლის კარგი შესაძლებლობა შეე-
ქმნათ, მაგრამ სხვა მდგომარეობა-
ში იმყოფება. დენბროპეტროვსკის
„დნეპრი“ — საკუთარ მინდორ-
ზე შოტლანდიის „მარტისან“ ფრედ
დამთავრებული შეხვედრის შემე-
დეგ — 1:1 (დენბროპეტროვსკელ-
თაგან ბურთი გაიტანა გულმენკომ).
საეჭვოა ამ გუნდის მეტოქესმეტე-
ფინალში გასვლის საკითხი.

ევროპის სათასო ტურნირების
საბასსუხო შეხვედრები გაიმართება
3 ოქტომბერს.
გათავობთ სამივე ტურნირის
სხვა შეხვედრათა შედეგებს:

ჩემპიონთა თასი
მეთამაშებამდფინალში
პირველი ტური

„სპარტაკ“ (ჩეხოსლოვაკია) — „სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრკ)	0:2
„ტრენკენ ზეველა“ (იუგოსლავია) — „გრასჰოპერისი“ (შვეიცარია)	1:1
„მარსელი“ (საფრანგეთი) — „დინამო“ (ალბანეთი)	5:1
„სკვაროვსკი-ტრიოლი“ (ავსტრია) — „კუუსიუსი“ (ფინეთი)	5:0
„ლილესტრომი“ (ნორვეგია) — „ბრიუგე“ (ბელგია)	1:1
„ნაპოლი“ (იტალია) — „ლივერპული“ (ინგლისი)	3:0
„მალმიო“ (შვეცია) — „ბენიქოთაში“ (თურქეთი)	3:2
„დინამო“ (რუმინეთი) — „სანტ პატრიცია“ (ირლანდია)	4:0
„თორინი“ (იტალია) — „დინამო“ (დრეზდენი, გერ)	1:3
„პორტუგალი“ (პორტუგალია) — „პორტ ადუნისი“ (ჩრ. ირლანდია)	5:0
„ოლენსე“ (დანია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)	1:4
„ლენინი“ (პოლონეთი) — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)	3:0
„ლა ვალენია“ (მალტა) — „გლავო რეინერისი“ (შოტლანდია)	0:4
„აბოვილი“ (კიბროსი) — „ბაიერნი“ (გერ)	2:3
„აკურერიარი“ (ისლანდია) — „ცესკა სრედეცი“ (ბულგარეთი)	1:0
„მილანი“ (იტალია) განთავისუფლებულია მეტოქესმეტეფინალური მა- ტჩებისგან, როგორც 1989-90 წლების სეზონის ჩემპიონთა თასის მფლო- ბელი.	

თასის ფეხბურთო თასი

წინასწარი წრე	
„ბრეი“ (ირლანდია) — „ტრაბზონსპორტი“ (თურქეთი)	1:1 (0:2)

მეთამაშებამდფინალში
პირველი ტური

„კუოპიო პოლონურა“ (ფინეთი) — „დინამო“ (კიევი, სსრკ)	2:2
„ლუგანი“ (პოლონეთი) — „ესპერანტი“ (ლუქსემბურგი)	3:0
„ტრაბზონსპორტი“ (თურქეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი)	1:0
„ვიცივი“ (ნორვეგია) — „ლიეკი“ (ბელგია)	0:2
„სლოვენი“ (ბულგარეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია)	0:2
„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „პეჩი“ (უნგრეთი)	2:0
„პეს შვერინი“ (გერ) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია)	0:2
„სლიმა“ (მალტა) — „დუკლა“ (ჩეხოსლოვაკია)	1:2
„სალამინა“ (კიბროსი) — „აბერდინი“ (შოტლანდია)	0:2
„მონტელო“ (საფრანგეთი) — „მინდოვილი“ (პოლონეთი)	1:0
„ოლიმპიკოსი“ (საბერძნეთი) — „ფლომურტარი“ (ალბანეთი)	3:1
„გლენტორანი“ (ჩრ. ირლანდია) — „სტივალი“ (რუმინეთი)	1:1
„რეკსამი“ (უელსი) — „ლიუნგბიუ“ (დანია)	0:0
„ემტრელა“ (პორტუგალია) — „ჟესპალი“ (შვეიცარია)	1:1
„ფრაი“ (ისლანდია) — „იურგორენი“ (შვეცია)	3:0
„კაიზერსლაუტერნი“ (გერ) — „სამპდორია“ (იტალია)	1:0

შეშას თასი

მეთამაშებამდფინალში
პირველი ტური

„დნეპრი“ (დენბროპეტროვსკი, სსრკ) — „მარტისანი“ (შოტლანდია)	1:1
„ტორპედო“ (მოსკოვი, სსრკ) — „გაი“ (შვეცია)	4:1
„ჩერნომორეცი“ (ოდესა, სსრკ) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია)	3:1
„ბრონდბიუ“ (დანია) — „აინტრაქტი“ (გერ)	5:0
„დერი სიტი“ (ირლანდია) — „ვიტისი“ (პოლონეთი)	0:1
მტე (უნგრეთი) — „ლიუცერნი“ (შვეიცარია)	1:1
„სპორტანგი“ (პორტუგალია) — „მეტელონი“ (ბელგია)	1:0
„ლოზანა“ (შვეიცარია) — „რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი)	3:2
„ავენირი“ (ლუქსემბურგი) — „ინტერი“ (ჩეხოსლოვაკია)	2:1
„ბორუსია“ (დორტმუნდი, გერ) — „პემინცი“ (გერ)	2:0
„ნორჩემპენგი“ (შვეცია) — „კიოლინი“ (გერ)	0:0
„ჰანდერსფორდი“ (ისლანდია) — „დანი იუნაიტედი“ (შოტლანდია)	1:3
„ანტვერპენი“ (ბელგია) — „ფერენცვაროში“ (უნგრეთი)	0:0
„ზაგლბიუ“ (ლუბლინი, პოლონეთი) — „ბოლონია“ (იტალია)	0:1
„გლენავონი“ (ჩრ. ირლანდია) — „ბორდო“ (საფრანგეთი)	0:0
„ასტონ ვილა“ (ინგლისი) — „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია)	3:1
„მადლბურგი“ (გერ) — „როვანიემი“ (ფინეთი)	0:0
„ველუ“ (დანია) — „ადმირა-ვიკერი“ (ავსტრია)	0:1
„ბაიერი“ (ლევერკუზენი, გერ) — „ტვენტე“ (პოლონეთი)	1:0
გეს (პოლონეთი) — „ტურენ პალოს-ურა“ (ფინეთი)	3:0
„ირაკოსი“ (საბერძნეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი)	0:0
„ანდერლექტი“ (ბელგია) — „პეტროლუმი“ (რუმინეთი)	2:0
„ატლანტიკა“ (იტალია) — „დინამო“ (იუგოსლავია)	0:0
„სლოვაია“ (ბულგარეთი) — „ოლინია“ (კიბროსი)	2:1
„რომა“ (იტალია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია)	1:0
„როდა“ (პოლონეთი) — „მონაკო“ (საფრანგეთი)	1:3
„სევილია“ (ესპანეთი) — „პაოკი“ (საბერძნეთი)	0:0
„პარტიზანი“ (ალბანეთი) — „უნინგერსიტატი“ (რუმინეთი)	0:1
„პოლოტენიკა“ (რუმინეთი) — „ატლანტიკა“ (ესპანეთი)	2:0
„პარიზი“ (ავსტრია) — „ინტერი“ (იტალია)	2:1
„ფენერბაჩი“ (თურქეთი) — „გამბარეში“ (პორტუგალია)	3:0
„პიბერნიცი“ (მალტა) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია)	0:3

საქართველოს
პროფესიონალი
ფეხბურთის
საფეხბურთო
ფედერაცია

მენობი — ურუგვაიში

ფეხბურთის გულშემატკივრებს,
მწვრთნელებს, სპორტულ ურუნა-
ლისტებსა და მეწვრთნეებს შორის
დიდი აუთოტაჟი, მრავალრიცხოვანი
კომენტარები გაჟღერდა ცნობამ
იხსნა შესახებ, რომ ცნობილი არ-
გენტინელი მწვრთნელი სესარ ლუ-
ის მენტო დათანხმდა იმუშაოს
ურუგვაის კლუბ „პენიაროლთან“.
ეს ცნობა, გადაუჭარბებლად შეიძ-
ლება ითქვას, ურუგვაიაში ბოლო
დროის მთავარი მოვლენა გახდა.
ურუგვაიაში, რომლის ფეხბურ-
თელებიც ორჯერ (1930 და 1950
წლებში) გახდნენ მსოფლიო ჩემპი-
ონები, ვერ ნახავთ დათმობას, ცო-
ტათი მაინც რომ არ იყოს დაინ-
ტერესებული ფეხბურთით. ქვეყა-
ში იგი არა მარტო ყველაზე პო-
პულარული სპორტის სახეობაა,
რამედ, როგორც ადგილობრივი
სპორტული გაზეთები წერენ, „ერო-
ვნული ყოფის განუყოფელი ნაწი-
ლი, ზრუნვისა და დღეის, ყოველ-
დღიური საუბრის აუცილებელი თე-
მა; გაცხარებული კამათისა და დი-
ქუსიების უცვლელი საგანია“.

მელიც წელს დაარსების ასი წლის-
თავს აღნიშნავს, მდგომარეობის გა-
მოსაწორებლად რადიკალური ზო-
მების გატარება ჭადაწყვიტა. ამა-
სთან, „პენიაროლი“ „ნასიონალთან“
ერთად, არა მარტო ალბანეთის
არაბული ფავორიტია — ქვეყნის
ჩემპიონის ტიტულის უცვლელი
პრეტენდენტია, არამედ, მრავალი სა-
ერთაშორისო ტურნირის, უპირვე-
ლესად კი ლათინურ ამერიკაში გა-
მართული შეჯიბრებების მრავალ-
ჯის პრიზითაა გახლავთ.

მაგრამ, დიდი აღმასვლის შემე-
დეგ „პენიაროლი“ მარცხიანი პე-
რიოდ დაუდგა. დროის მცირე მო-
ნაკვეთში გამოიკვალა გუნდის ხუ-
თი მწვრთნელი, რომლებმაც ვერც
თამაშის და ვერც ფეხბურთელთა
საბრძოლო განწყობის ამაღლება
ვერ მოახერხეს.

ამ დღეებში ურუგვაის ცენტრალ-
ური გაზეთების სპორტული გან-
ყოფილებების გვერდებზე გამოქვე-
ყნა მრავალრიცხოვანი სტატიები,
რომელთა ავტორები არგენტინელი
მწვრთნელის ცხოვრების უამრავ
ეპიზოდს აშუქებენ. ქვეყნდება მის
ტიტის ბიოგრაფია, ჰყვებიან მის
ჩვევებსა და ხასიათზე, მოჰყავთ
მისი გამონათქვამები ფეხბურთზე,
მოთამაშებზე, მწვრთნელებზე, იმო-
შვებენ მის ფლოსოფიურ კონცე-

ტურის შემდეგ 10 ქულა აქვს. მო-
დუნვო ადგილებზე 9-9 ქულით ამ-
ყოფებიან ლევურუსნის „ბაიერი“
და „კაიზერსლაუტერნი“.

„პარიზი“. „ნანსისა“ და „ნან-
ტის“ შეხვედრაში გაიმარჯვა „ნან-
სი“ — 3:2. გადაწყვეტილებით ბურთი
გაიტანა ა. ზავაროვმა. ამ გამარჯვე-
ბით „ნანსმა“ ბოლო ადგილიდან

მსოფლიოს საფეხბურთო
მინდვრება

ბონი. გერმანიის ფედერაცი-
ონი რესპუბლიკის ჩემპიონატში
შესრულებულია „ფორტუნამ“ მი-
გნებში დაამარცხა ცნობილი „ბა-
ერნი“ — 2:1. ეს იყო ლიდერთა
შეხვედრა, „ფორტუნის“ ახლა, 6

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

„ბაზრინა ალალიო...“



როგორც გაუწყეთ, წინა შაბათ-კვირას, ზაფხულის არდადეგების შემდეგ განახლდა მორაგბეთა ერთობის პირველი გაიმართა XI ტურის შეხვედრა. როგორც აღვნიშნავთ, უმეტესობას შეუძინებელი დროულად დასრულდა კვირის კვირის დროში გამართულ შეხვედრებს „მკითხველს უნდა შეეძლოს ახალადა ვაცნობოთ ამ მატჩში თბილისის სტადიონზე 25:9 დაუმარცხნულად გაიმარჯვა „სათაფლიო“.

აქვს ერთი სიტყვით, თავად უჩირო წესია შესაცვლელი. ჩვენი აზრით, უპირაძი იქნებოდა შეხვედრის დაწყების დროისა და შედეგის სამდინოსათვის და ამგვარად, „ლელოსათვისაც“ შეტყობინება მასპინძელი გუნდისათვის დაგვეცხვებინა. სახელდობრ, მასპინძელმა თამაშის დაწყების დრო პარასკევს, დილის 10 საათამდე უნდა ამცხოს რაგბის კავშირს, შეხვედრის შედეგი კი — ორშაბათს, ასევე დილის 10 საათამდე. გუნდებს შეეცხვებინებთ რაგბის კავშირის ტელეფონის ნომრებს: 23-53-87, 37-12-37, 95-82-82.

ახლა კიდევ ერთ პრობლემაც სხვადასხვა მიზეზთა, პეტადრე კი იმის გამო, რომ „აია“, „გელათი“, „ელმაჯალი“ და „მინიო“ სსრკის ჩემპიონატში მონაწილეობის გამო ან ვერ იცავენ, ან არად დაგიდევნენ ეროვნული ჩემპიონატის კალენდარს, პირველ ეტაპზე დაგროვდა 9 გაცდენილი თამაში, ამასთან უმეტესობა რამდენჯერმე გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ რაგბის კავშირმა ამ თამაშთა გასამართავად ახალი განრიგი შეადგინა, ოდენ სამის გამართვა მოხერხდა: თბილისის „ელმაჯალი“ 4 და 6 სექტემბერს ვაკის სტადიონზე უმასპინძლა „ზოოვეტს“ და „უნივერსიტეტს“ და ორივე თამაში მოიგო — შესაბამისად, 32:12 (ლელოებით 7:3) და 56:12 (11:2). გარდა ამისა, 18 სექტემბერს „სათაფლიო“ შინ დამარცხდა „ზოოვეტთან“ — 18:20. რაც შეეხება სხვა

შეხვედრებს, ვითომც არაფერი, სსრკ-ის ჩემპიონატის მონაწილეები ერთმანეთთან სათამაშოდ არ გამოცხადდნენ, თანაც „მინიო“ იმდენი მოახერხა, რომ თბილისში ჩამოსულ „აიას“ შინ არ დაუხვდა! ერთი სიტყვით, რაგბის კავშირს სხვა არა დარჩა რა, შეტყობინება „გაურჩებულთათვის“ წაგება რომ ჩაეთვალა და „ლელოსათვის“ გათამაშების ცხრილების შედგენის



შესაძლებლობა მიეცა. ამრიგად, უთამაშებლად (!!) დადგინდა შემდეგი შეხვედრების ანგარიშები: „აკადემია“ — „აია“ 30:0, „მინიო“ — „აია“ 0:30, „აია“ — „შეგარდენი“ 30:0, „ელმაჯალი“ — „გელათი“ 30:0. რაც შეეხება „სათაფლიო“ — „ელმაჯალი“ და სტუ-„აიას“ მატჩებს, ისინი, ვინ მოსთვლის, მერამდენად გადაიდო. ისე კი, საინტერესოა, ოდენსმე თუ მოხერხდება მათი გამართვა.

ამ სანქციების მიღების შემდეგ გათამაშების ცხრილები სადღეისოდ ასე გამოიყურება:

შაქარაშთა ჯგუფი

Table with 4 columns: Team, W, D, L, Pts. Rows include 'ელმაჯალი', 'ახოციაცია', 'აია (ჭუთ.)', 'მინიო'.

სანუგავო ჯგუფი

Table with 4 columns: Team, W, D, L, Pts. Rows include 'გელათი (ჭუთ.)', 'იმერეთი (კ.)', 'აკადემია', 'სტუ', 'შეგარდენი', 'ზოოვეტი', 'უნივერსიტეტი', 'სათაფლია'.

ბოლოს, XII ტურის ანონსიც: დღეს „ახოციაცია“ ეთამაშება „მინიოს“ (ვაკის სტადიონზე, დასაწყისი 15 საათზე), „ზოოვეტი“ კი „აკადემიას“. ხვალ „გელათი“ უმასპინძლებს „იმერეთს“ (დასაწყისი 16 საათზე), სტუ-„უნივერსიტეტს“, „შეგარდენი“ კი — „სათაფლიას“ (სის-ს სტადიონზე, 16 საათზე).

დაიწყოს საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატიც, რომელსაც სტუდენტთა რაგბის კავშირი მართავს. გაიმართა ორი თამაში: სამხატვრო აკადემიის გუნდმა „აკადემიამ“ დაამარცხა სტუ — 12:10, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „შეგარდენმა“ კი „უნივერსიტეტს“ მოუგო — 21:6. ამ გუნდების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობენ „ზოოვეტი“ და ახლად აღდგენილი „სამედიცინო“.

ზაალ გიგინეიშვილი

Advertisement for 'გელათი' (Gelati) brand, featuring a logo and text about quality and availability.



„ქარიშხალი“ — „კუნცევი“ 22:23, ცსკა — „ნევა“ 25:20, „დინამო“ — „ზიო“ 36:20, მიაი — „კაუსტიკი“ 22:25, ასკ (მინსკი) — ასკ (კიევი) 37:24, ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი) — „პოლიოტი“ 28:25, „ნევა“ — „ქარიშხალი“ 24:24, ზიო — ცსკა 28:28, „კუნცევი“ — „დინამო“ 19:29, „კაუსტიკი“ — ასკ (მ) 25:39, „პოლიოტი“ — მიაი 24:24, ასკ (კიევი) ფიზკულტურის ინსტიტუტი (კრასნოდარი) 25:38.

ჩვენმა ხელბურთელმა ჩატარებული ზედიზედ შეხვედრიდან მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლო. მომდევნო ტურს 4*7 ოქტომბერს თბილისი უმასპინძლებს.

რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაძე



პოლ ნიუმენის კოზი

ცნობილი ამერიკელი კინოვარსკვლავი პოლ ნიუმენი (ავტობიოგრაფიული) ამ კოზით იგი 1970 წელს, მორიგი ფილმის გადაღებაზე „დაავადდა“. მას შემდეგ მხა ხიობი სპორტულმა აზარტმა შეიპყრო. გაიგო სისწრაფისა და რისკის გემო, რომელიც, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ავტომობილთა შეკიბრებებთან. პოლ ნიუმენი, რომელიც ახლა 65 წლისაა, მონაწილეობდა ავტომობილთა შეკიბრებებში აშშ-შიც და საზღვარგარეთაც. იგი კრამდე წაჭრებ გახდა ამ ამბარჯობათა პრიზიორი. „ხარბოლო საკუესთან თავს გაცილებით ახალგაზრდულად ვგრძნობ“ — ამბობს ცნობილი მხახიობი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბავი

● ბელგიის „მეპელენმა“ შარშან დათმო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და კვერცხი ევროპულ ტურნირებში მიიღწია რაიმე წარმატებას. ახალი სეზონის წინ გუნდში 35-შეგნელოვანი ცვლილებები მოხდა. წაყიდნენ პოლანდიელები ზოსმანი და ერვინ კუმანი („ეინდ-ჰოვენი“), ისრაელის ნაყრების თავდასხმელი ოპანა („ლიდსი“). მათი ადგილი კი ახალ მოთამაშეებს დაეთმო, მათ შორის, პოლანდიელები — ბიტერსს („როდა“), ეი.ემ.კამპს („ვრონიგენი“) და შვედ ინგესონს („გიოტებორგი“).

● პეიშთა კატეგორიული აკრძალვის შემდეგ ესპანეთის ნაკრების ყოფილი მანეჯერი მკველმა ხუან სენიორმა განაცხადა, რომ თავს ანებებს აქტიურ სპორტს. 31 წლის სენიორი წლების განმავლობაში იყო „სარაგოსას“ კაპიტანი, მონაწილეობდა 1986 წლის მსოფლიო პირველობაში, ხოლო 1984 წელს დაჯილდოვდა ევროპის პირველობის ვერცხლის მედლით.

● აქიშთა ორი რუმინელი ფეხბურთელი გაიყიდა უცხოეთის კლუბებში. ორივე წლევეანდელი მსოფლიო პირველობის მონაწილეა. მეყარე ლუნგი ამიერიდან ესპანეთის „ალბასეტეში“ ითამაშებს, მკველი როტარტიუ კი თურქეთის „გალათასარიში“.

განცხადებები

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლა 1990-91 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას: მაგიდის ჩოგბურთში — 1982-85 წლებში დაბადებულნი, ბაშმინტონში — 1979-82 წლებში დაბადებულნი, ტყვიის სროლაში — 1977-78 წლებში დაბადებულნი. სპორტული ჭაფუფები იმუშებენ თბილისის სხვადასხვა რაიონში.

ჩვენი მისამართია: თბილისი, დიდის მსივი, მე-3 კვარტალი; ბელიაშვილის ქ. № 6. ტელ: 51-83-95.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაყავებლად. ენების კათედრაზე: რუსული ენა, უფროსი მასწავლებელი — 2 ერთეული; ფრანგული ენა, დოცენტი — 1 ერთეული; ინგლისური ენა, უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული.

ფიზიოლოგიის კათედრაზე: სპორტის ფიზიოლოგია, დოცენტი — 1 ერთეული.

კონკურსის ვადა ერთი თვე დიდობს დასრულებამდე. ცნობების მიღება შეიძლება კადრების განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჯავახიშვილის, 49. ტელ: 23-09-02.

განცხადებები

თბილისის „დინამო“-ს სპეციალიზებული ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ფეხბურთის სკოლა 22 სექტემბრიდან 22 ოქტომბრამდე ეროვნული სტადიონის სათადარიგო მოედანზე ატარებს საკონკურსო შეჯიბრებას 1979-1983 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის დამწყებთა ჭაფუფებში ჩასარიცხად. შეჯიბრება იჭარმოებს ყოველ კვირადღეს 10-დან 12 საათამდე, დანარჩენ დღეებში — 9-დან 12-მდე და 15-დან 17 საათამდე.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საჩოგბურთო სპორტის სკოლაში დაიწყო და 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება მოსწავლეთა მიღება-შერჩევა 1990-91 სასწავლო წლისათვის მოსამზადებელ ჭაფუფებში ჩასარიცხად.

მიიღებიან 1981-82-83-84 წელში დაბადებული მოზარდები. მიღება-შერჩევა იჭარმოებს სამ ეტაპად, შემდეგ მისამართებს: გერმანულში და მარჯანიშვილის ქ. № 29-ში მდებარე ჩოგბურთის მოედანზე 8 საათსა და 30 წუთიდან — 11 საათამდე და 14 საათსა და 30 წუთიდან 16 საათამდე.

მიღებისას წარმოადგინეთ ჩანმრთელობის ცნობა. ცნობებისათვის დარეკეთ: 95-27-81, 95-38-00.

თბილისის „შეგარდენის“ სტადიონი (ხმელნიციის ქ. № 40)

24 სექტემბერი ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი „შეგარდენი-1986“ (თბილისი) — „ნიკარია“ (ხაზუბი)

დასაწყისი 17 საათზე და 30 წუთზე ბოლოები გაიყიდება სტადიონის სალონებში 24 სექტემბერს 12 საათიდან.

განცხადებები

საქართველოს კ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის სტამბა. 3800096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საჯარო კორპუსში: ზოზარაულის, 29. ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380090, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპოშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზები — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მარტვი“ — 93-97-27.

3800 096455

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები მ. ძეძმაძე და ე. ზომერცი.